# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● №12 (4587) ● 16 ოქტომბერი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი


## მეია მეგრელიშვილი საპატიო თბილისელია – ვულოცავთ!

# სამოცი წელი მიუძღვნა ცეროდენების ესთეტიკურ აღზრდას






**წელს „თბილისობაზე“** დედაქალაქის მერმა **კახა კალაძემ** შვიდ საპატიო თბილისელს შორის დაასახელა 27-ე ბაგა-ბაღის მუსიკის ღვაწლმოსილი პედაგოგი **მეია მეგრელიშვილი** და გადასცა **სიმბოლური გასაღები, სიგელი და გულსაბნევი**. რით დაიმსახურა ქალბატონმა მეიამ ესოდენ მაღალი აღიარება? ამაზე ქვემოთ ვრცლად მოგახსენებთ. მანამდე კი ერთი მომენტი უნდა აღვნიშნო: გაზეთ **„სახალხო განათლებასთან“** ინტერვიუში კითხვაზე: რა ღონისძიებები აქვს ჩაფიქრებული მერიას ბაგა-ბაღების მუშაკთა მატერიალურ-მორალური სტიმულირების კუთხით? ამ სამსახურის სააგენტოს დირექტორმა **კახა გვანცელაძემ** სხარტად გვიპასუხა: ამ მიმართულებით საინტერესო ღონისძიებები იგეგმებაო. მართლაც, მერიაში



კარგად ესმით, რომ მაღალპროფესიონალის ღვაწლის ღირსეულად დაფასება დროის მოთხოვნაა. მიგვაჩნია, რომ სიტყვის საქმით დამშვენების, **ღვაწლის დაფასების** ერთ-ერთი გამოხატულება ესეც არის ე. ი. **მეია მეგრელიშვილისთვის „საპატიო თბილისელის“** წოდების მინიჭება.

საპატიო თბილისელთან გასაუბრებისთანავე ანტონ ჩეხოვის შეგონება გამახსენდა: ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს – გარეგნობა, ჩაცმულობა, მეტყველება, ქცევა და ზნეობაო. ყოველივე ამ სიკეთით შემკობილია ქალბატონი მეია. მეტად თავმდაბალია. საკუთარ თავზე ძუნწად თუ იტყვის რამეს. რაც მთავარია, ძალიან უყვარს ბავშვები და თავისი საქმე. ხარობს კოლეგების წარმატებით.

– სხვაგანაც მიმუშავნია, მაგრამ აქ უფრო ლაღად ვგრძნობ თავს. მახარებს დამკვიდრებული კოლეგიალობა და გუნდურობის პრინციპი. შეხმატკბილებულად ვმუშაობთ, ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას, ერთმანეთისგან ვსწავლობთ.



ეს ყველაფერი ჩვენი ერუდირებული, შემოქმედი დირექტორის **თეონა ჯინჭარაძის** დამსახურებაა. მომთხოვნიც არის და სამართლიანიც, გულკეთილი და ჰუმანური. მისი ხელმძღვანელობით კარგად მომზადებული შეხვდა ბაგა-ბაღი ახალ სასწავლო წელს. ინფრასტრუქტურის უფრო კეთილმოწყობაში მხარში ამოგვიდგა სააგენტოს უფროსი **კახა გვანცელაძე**, მზად ვართ წარმატებით განვახორციელოთ **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა.

საუბარში შემოგვიერთდა ბაგა-ბაღის დირექტორი **თეონა ჯინჭარაძე**:

– ღვაწლმოსილი პედაგოგი **მეია მეგრელიშვილი** ჩვენი ბაღის სიამაყეა.

– და მთელი დედაქალაქის სიამაყეც არის, – დავუმატე მეც.

– დიახ, **60 წელია** იგი დიდი წარმატებით ემსახურება მუსიკალური ხელოვნებისადმი სიყვარულით ნორჩების აღზრდის საქმეს.

**მეია მეგრელიშვილი თავად ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის აღზრდილია.** დამთავრებული აქვს საკომპოზიტორო ფაკულტეტი და აღმზრდელობით საქმიანობაში საკუთარ შემოქმედებასაც იყენებს, არცერთ ქართველ საბავშვო კომპოზიტორს არ ჩამოუვარდება. ჩამოაყალიბა **საბავშვო ორკესტრი, თოჯინების თეატრი.** დგამენ საინტერესო სპექტაკლებს, ამაზე ცოტა ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ, მაგრამ აქვე დაბეჯითებით გვთხოვა: არა ჩემი, არამედ ჩემი კოლეგების: **ეკა ამაშუკელის, მაია ჭაფოძის, მაია სარიშვილის, ხათუნა მუხიგულაშვილის, ია ბასილაშვილის, თამარ ტულუშია**... თავდადებული შრომა წარმოაჩინეთო. ისინი სამუშაო საათების შემდეგაც რჩებიან ცეროდენებთან, დამატებით მეცადინეობებს უტარებენ. მათთან ერთად მხარს მიმშვენებს ახალგაზრდა კოლეგა **გვანცა გვაზავა.** გთხოვთ, ბაგა-ბაღის ცხოვრება **კომპლექსურად გააშუქეთო.**



მე და დირექტორმა დავარწმუნეთ, რომ ამჯერად **სტატიის ფორმატი** მხოლოდ ამ საპატიო ტიტულის გარშემო მსჯელობას მოითხოვდა. შევპირდით, მის სურვილებს **საახალწლოდ შევასრულებდით.**

**„თბილისობის“** კვალდაკვალ სულ მალე შემოდგომის ზეიმს ჩაატარებენ. ტკბილ-მშობლიური მელოდიები მოეფინება გარემოს. **მეიას** ცეროდენები თავიანთი შემოქმედებით მოხიბლავენ მსმენელს.

ათიოდე წლის წინათ ჩუღურეთის ერთ-ერთ ბაღში სტენდზე პოპულარული მომღერლის პორტრეტი შევნიშნე წარწერით: **„აქ იზრდებოდა გოგი დოლიძე“.** „პლეხანოვზე“ ბაგა-ბაღში ჩაისახა **თამრიკო ჭოხონელიძის** ვოკალური ნიჭი. ასევე ბევრი



მაგალითის დასახელება შეიძლება. ქალბატონი **მეია** ბევრი ასეთი აღზრდილით ამაყობს. დღესაც ამ ბაგა-ბაღში ბევრ ნიჭიერ, პერსპექტიულ ხელოვანს ზრდის...

ზოგად მსჯელობას ყოველთვის კონკრეტიკა სჯობს. დირექტორმა **თეონა ჯინჭარაძემ** მოგვაწოდა ინფორმაცია **საპატიო თბილისელის** გაკეთებულ საქმეებზე, მომავლის გეგმებზე, საიდანაც რამდენიმე ამონარიდს გაგაცნობთ:

მუსიკალურ ნაწარმოებთა 5 კრებულში, რომელიც განკუთვნილია სკოლამდელი ასაკობრივი ჯგუფებისათვის, გამოქვეყნებულია კომპოზიტორ **მეია მეგრელიშვილის** საბავშვო სიმღერები.

ბაგა-ბაღის თოჯინების თეატრში დადგა 6 სპექტაკლი, სადაც თავად არის ტექსტისა და მუსიკის ავტორი. ესენია: **„ჭირვეულა, „ეშმაკუნა წიწილა“, „ყოყლოჩინა მამალი“, „კურდღელი ბოსტანში“, „სათაგური“, „მელია და ბავშვები“.**

საკუთარი რეპერტუარიდან დადგა შემდეგი მუსიკალური სპექტაკლები: **„რწყილი და ჭიანჭველა“, „კონკია“, „ნაცარქექია“, „თაგუნა და ლამპარი“, „წითელქუდა“** და კიდევ ბევრი რამ. ასეთ ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა ღვაწლმოსილი პედაგოგი. სრულყოფილად ვერ წარმოგიდგენთ **მეია მეგრელიშვილის** მოღვაწეობის ყველა მხარეს, მაგრამ მოდით, იგი შემდეგისთვის იყოს.

დიდი პედაგოგის **ვასილ სუხომლინსკის** კალამს ეკუთვნის პოპულარული წიგნი **„გულს ვუძღვნი ბავშვებს“**. ჩვენი **საპატიო თბილისელი** თამამად იმსახურებს, რომ ასეთი წიგნი მისი მოღვაწეობის შესახებაც დაიწეროს.

ნოტი მუსიკალური ანბანია. ოპტიმისტურ ნოტზე დავამთავრებთ სტატიას: **მეია მეგრელიშვილი დაე, დიდხანს იყოს „მარად მხნე, მარად მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!“**

**ბორის მიშველაძე,**
*საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი*

**რედაქტორის მინაწერი:**

ჩვენი გაზეთის რედაქცია **მეია მეგრელიშვილს** ულოცავს დიდ აღიარებას და 27-ე ბაგა-ბაღის ყველა მუშაკს ახალ წარმატებებს უსურვებს.


მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ნომრის სტუმარია 190-ე სკოლა

# დიდი მოტივაცია და ახალი გეგმები



**თბილისის** 190-ე საჯარო სკოლა ლოტკინის დასახლებაში 1988 წლიდან ფუნქციონირებს და უბნის მაცხოვრებლებისთვის ერთ-ერთი თვალსაჩინო საგანმანათლებლო დაწესებულებაა.



სკოლა დიდი სიახლეებითა და შემოქმედებითი გეგმებით შეხვდა ახალ სასწავლო წელს. ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია. ეზოს ამშვენებს მწვანე ნარგავები და სპორტული მოედანი. შენობის ფოიე ესთეტურად არის გაფორმებული.



ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული

თვალშისაცემია მოსწავლეების შემოქმედების ამსახველი ფოტო-ქრონიკა და კლასიკოსების პორტრეტები, რაც კიდევ უფრო ალამაზებს იქაურობას.

სკოლის დირექტორია გამოცდილი მენეჯერი, ღვაწლმოსილი პიროვნება **სარდიონ შაფათავა,** რომელიც მრავალი წელია საგანმანათლებლო სისტემაში მოღვაწეობს და გამობრძმედილი ხელმძღვანელია, თუმცა, აღნიშნულ სკოლას სულ ახლახანს ჩაუდგა სათავეში და უკვე წარმატებით შეეთვისა ახალ კოლექტივს.

დირექტორს მხარში უდგას შემოქმედი მოადგილე **ქეთევან ტოგონიძე**, რომელიც ბატონი სარდიონის დანიშვნამდე, ერთი წლის მანძილზე დირექტორის მოვალეობას შესანიშნავად ასრულებდა. სკოლა მოწოდებულია ხარისხიან განათლებასა




და მოსწავლეებისადმი კეთილსაიმედო გარემოს შექმნაზე. პედკოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული და ერთობლივი ძალისხმევით ზრდიან მომავალ თაობას. თავის მოვალეობას შესანიშნავად უძღვება საინფორმაციო მენეჯერი **ლუიზა ჭალიძე**, რომელიც სკოლის სიახლეებს და მიღწევებს ინტენსიურად აშუქებს სოციალური ქსელის საშუალებით სკოლის გვერდზე - **„190-ე საჯარო სკოლა“.** აქვთ თანამედროვე ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია მდიდარი ლიტერატურით და ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარი **ლალი კუჭავა**, სკოლას დაუზარელად ემსახურება და მოსწავლეებს აყვარებს წიგნის კითხვას.

სკოლის ცხოვრებაში აქტიურად არის ჩართული სამეურვეო საბჭო, რომლის არჩევნები ჩატარდა წლეულს, ივნისში და მისი თავმჯდომარეა **მზია გელაშვილი.**

დირექტორი კმაყოფილია პედაგოგების პროფესიონალიზმით და მონდომებით. სკოლაში დასაქმებულია სულ 51 პედაგოგი, წამყვანის სტატუსი აქვს 2 მასწავლებელს, ხოლო ძირითადი რაოდენობა პედაგოგების არის უფროსი სტატუსის მფლობელი. ხუთი უფროსი პედაგოგი კი ელოდება სტატუსის ამაღლებას. სამმა პენსიაზე მყოფმა პრაქტიკოსმა პედაგოგმა მიიღო საპენსიო ჯილდო.

სკოლის წინსვლაში დიდი წვლილი მიუძღვით საგნობრივ კათედრებს. რომლებსაც უძღვებიან: ქართული ენის და ლიტერატურისას - **ნაირა ვარდოსანიძე,** დაწყებითის - **მაია არაბული,** საბუნებისმეტყველოს - **მაია ცნობილაძე**, საზოგადოებრივი მეცნიერების - **მზია ხუციშვილი**, მათემატიკისა - **ლია გალუაშვილი,** უცხოური ენების - **თამარ ყიფიანი,** ესთეტიკური აღზრდის - **ნინო ქუმსიაშვილი.**

სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ახალი სახელმძღვანელოები I-VI კლასებისთვის შარშან აირჩიეს, ხოლო, მიმდინარე სასწავლო წლისთვის,



ინტელექტუალური კონკურსის „ეტალონის“ პირველი ტური

პირველ კლასელებს გადაეცათ **იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.** ასევე, ამავე წელს შეარჩიეს VII-კლასის სახელმძღვანელოები. 2019-2020 სასწავლო წელს გაიხსნა სამი პირველი კლასი, რომელთა ხელმძღვანელები არიან უფროსი სტატუსის მქონე პედაგოგები: **მზია აფციაური, თამარ ხუციშვილი** და **მარიკა ჯარაშნელი.**

სკოლის წარმატება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებით და ცოდნის დონით გამოიხატება. გასულ სასწავლო წელს - 4 ოქროს და 1 ვერცხლის მედალოსანი ჰყავდათ. ერთმა მოსწავლემ კი მიიღო კომპიუტერი, საბაზო საფეხურის წარჩინებით დამთავრებისთვის. ახლახან, 5 ოქტომბერს, ნაძალადევის რაიონის გამგეობამ თბილისობასთან დაკავშირებით მოაწყო ღონისძიება, სადაც 190-ე საჯარო სკოლას, კონკურსში მონაწილეობისათვის მადლობის სიგელი გადაეცა. მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა ოლიმპიადებში **„კინგსის“, ევერესტის“** და ა. შ. საიდანაც მოსწავლეები დიპლომებით და სიგელებით

გაგრძელება მე-2 გვ.



მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი ეროვნულ-სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა.



დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კვირეული „მოვუაროთ დედამიწას – ვისუნთქოთ O2“



ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული




მოსწავლეების ხელით შექმნილი „ვეფხისტყაოსანი“



გასული წლის 4 ოქროს და 1 ვერცხლის მედალოსანი




გასული სასწავლო წლის ოლიმპიადების „კინგსი“ და „ევერესტი“ წარმატებული მოსწავლეები

მეორე გვერდიდან

# დიდი მოტივაცია და ახალი გეგმები

ბრუნდებიან. მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა და უამრავია იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, სადაც ბავშვები მონაწილეობდნენ. მოზარდებმა, დედაქალაქის დღესასწაულთან დაკავშირებით, სკოლაში მოაწყეს ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების გამოფენა. მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2019-ის ფარგლებში 28 სექტემბერს, ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება სკოლის მოსწავლეებისთვის, **„თანამედროვე ბიბლიოთეკა“.**

190-ე საჯარო სკოლის გუნდმა, ფიზიკის პედაგოგის **ინგა წამალაშვილის** ხელმძღვანელობით, მეორე ადგილი მოიპოვა და დასაჩუქრდა პრიზებით.

გუნდის წევრებს ბიბლიოთეკისგან და მხარდამჭერი ორგანიზაციებისგან გადაეცათ სპეციალური პრიზები, სკოლას კი **„ვეფხისტყაოსანი“** ბიბლიოთეკისთვის. სკოლაში აღინიშნა დედამიწის დღე და ამასთან დაკავშირებით გაიმართა კვირეული **„მოვუაროთ დედამიწას“.**

190-ე სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები. ქართული ხალხური ცეკვების სტუდია **„ლომისი”,** სახელოვნებო სკოლა - სტუდია **„არტდიზაინი”**, ხალხური სიმღერებისა და საკრავების სტუდია. დიდი ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას და მოსწავლეებს დიდი წარმატებები აქვს სპორტული კუთხითაც. აქ ყოველწლიურად იმართება ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა ხელით შექმნეს „ვეფხისტყაოსანი“. სკოლაში ნაყოფიერად ფუნქციონირებს მშობელთა კლუბი, რომლის მიზანია უბნის, სკოლის განვითარება დახელშეწყობა, მშობლების აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროექტებში. მოსწავლეები პედაგოგებთან ერთად ჩაერთვნენ აქციაში **„ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომება“,** რომლის ფარგლებშიც სკოლის ტერიტორიაზე დაირგო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ საჩუქრად გადმოცემული ხეხილის ნერგები. სკოლაში სტუმრად იმყოფებოდა ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილე **ბეჟან ხუციშვილი,** რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო სკოლის ღონისძიებაში. სკოლის წარმატებული მოსწავლეები არიან: **მარიამ კიკოლაშვილი** და **ლინა ჩინჩალაძე,** რომლებმაც ინფორმატიკის ოლიმპიადა **„OLYINFO-2018”** შემოდგომის სეზონის ფინალური ტურის ათეულის წევრები გახდნენ - საქართველოს მასშტაბით.

ალსანიშნავია სპორტული წარმატებები, სადაც მოსწავლეებმა ნამდვილად ასახელეს სკოლა. აქ ფუნქციონირებს **კარატესა** და **ტაეკვანდოს წრე**.

მოსწავლეები მონაწილეობენ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ტურნირებში. ჯგუფში აღიზარდნენ საქართველოს ჩემპიონები.

საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულები არიან: საქართველოს ჩემპიონები: **ლაშა აბრამიშვილი, თაგლი ემზარი, ნონა მერაბიშვილი, დავით მერაბიშვილი, ილია აღდგომელაშვილი, ზაზა აჯამოვი** და **ნოდარ ტაბატაძე**.

ასე რომ, 190-ე სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული და ამაყობს წარმატებული მოსწავლეებით. ეს კი მოწინავე პოზიციებზე გასვლის გარანტიაა.

**მზია გოგოძე**







*თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით მოეწყო მოსწავლეების ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების გამოფენა.*



*27 სექტემბერს ჩატარდა ფიზიკის წრეების „ელექტრონი“, „ფიზიკა ჩვენს გარშემო“ და „ჰიდრო და აეროსტატიკის“ გასვლითი მეცადინეობა „ილუზიების მუზეუმში“ – პედაგოგი ინგა წამალაშვილი*






*სკოლაში ფუნქციონირებს კარატესა და ტაეკვანდოს ჯგუფი.*








*სკოლის წარმატებული ფინალისტი ფრენბურთის გუნდი*





*მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგის წარმატებული სკოლის ფეხბურთის გუნდი*

თბილისის 75-ე საჯარო სკოლა - ევროსტანდარტების გზით

# კარგად დაიწყე? - ნახევრად გამარჯვებული ხარ!


პირველი შეხვედრა ანბანთან

**სათაურად** გამოტანილი ფორმულა **მიხეილ ჯავახიშვილს** ეკუთვნის და ზუსტად მიესადაგება 75-ე სკოლის პედაგოგთა გატაცებულ მოღვაწეობას. დიახ, მათ კარგად დაიწყეს სიახლეებით აღსავსე ახალი სასწავლო წელი. წარმატების გარანტი ისიც გახლავთ, მკითხველო, რომ ძლიერ პედკოლექტივს უნარიანად უძღვება ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი, ახალი ხელმძღვანელი, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მაია პაპუნაშვილი**. ამ სიტყვების ავტორი, დამსახურებული პედაგოგი, კარგად იცნობს მაიას პედაგოგიური მოღვაწეობის საინტერესო გზას და ყოველგვარი „მოვალეობის შემსრულებლის" გარეშეც თამამად შეიძლება მას მივანიჭოთ დირექტორის სტატუსი, მაგრამ სათანადო პროცედურების გავლა მაინც საჭიროა.

ზოგადად მსჯელობას ყოველთვის ცოცხალი საუბრის მოსმენა სჯობს. ამიტომ გთავაზობთ რამდენიმე კითხვაზე სკოლის ხელმძღვანელის მიერ გაცემული პასუხების მოკლე შინაარსს.

* * *

- სხვაც რომ არაფერი იყოს, 300 არაგველის სახელიც ბევრს გვავალებს.ახალ სასწავლო წელს პირველკლასელ მოსწავლეებს სკოლა განახლებული საკლასო ოთახით შეხვდა. ბიუჯეტში არსებული დანაზოგით შევძელით პირველი სართულის დერეფნის შეკეთებაც. 1-ლი კლასის მასწავლებელი **თეა ბილიხოძე** განსაკუთრებულად მოემზადა მოსწავლეების დასახვედრად. მან საკლასო ოთახში შექმნა მხიარული, ფერადი და მყუდრო გარემო, სპეციალურად პირველი დღისთვის დაგეგმა აქტივობები, რომლებშიც მშობლებიც იყვნენ ჩართულნი. ვფიქრობთ, სკოლაში მოსვლის პირველი დღის შთაბეჭდილებები დიდხანს დაამახსოვრდებათ ჩვენს პატარებს.


კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ ორგანიზებული სპორტულ-ინტელექტუალური თამაშის მონაწილეები რაიონის გამგებელთან ერთად.



გულშემატკივრები

საგანგებოდ მოემზადნენ მოსწავლეების დასახვედრად დაწყებითი საფეხურის სხვა მასწავლებლებიც: II კლასის დამრიგებელი **თამარ მოდებაძე**, III კლასისა - **ეკატერინე ნიკაჭაძე,** IV კლასის დამრიგებელი **ალდა ნაჭყებია.** პირველ დღეს ყველა მოსწავლეს შევუქმენით ამაღლებული და საზეიმო განწყობილება, რაც ყველა პედაგოგის ძალისხმევისა და მონდომების შედეგია.

წელს სკოლის რამდენიმე მასწავლებელს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ესენი არიან: **ნათელა ბასილაშვილი, ირინე დიდებაშვილი, ნაილი ჩიკვილაძე, ქეთევან ცეცხლაძე.** ასევე უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა ფიზიკის მასწავლებელს, **ნათია ჯანდაგაშვილს,** რომელიც 16 სექტემბრიდან შეემატა ჩვენს პედკოლექტივს. გვყავს უფროსი მასწავლებელიც, **ნათია ჯაყელი,** რომელიც ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულია და უკვე რამდენიმე წელია, ასწავლის მშობლიურ სკოლაში.


პირველი დღე სკოლაში

მართალია, ერთი პირველი კლასი გაიხსნა, მაგრამ წინა წლებთან შედარებით იგი მრავალრიცხოვანია. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია და წლევანდელი პირველი კლასის 26 მოსწავლით დაკომპლექტება ერთგვარ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

სკოლის I-VII კლასებში სწავლება მიმდინარეობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით. პირველკლასელები განსაკუთრებით გაახარა სახელმწიფოსგან მიღებულმა საჩუქარმა - **იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ".** ამ უკვდავი წიგნის მიღებამ განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია მოსწავლეთა მშობლებში.

გასულ სასწავლო წელს ჩვენმა მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა ეროვნულ თუ კერძო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ოლიმპიადებში. ერთ-ერთმა მოსწავლემ, **რევაზ ჯოლიამ,** ეროვნულ ოლიმპიადაში წარმატებულად მონაწილეობისათვის მიიღო ჯილდო - **რამდენიმე დაუვიწყარი დღე გაატარა ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლაში.** აღსანიშნავია, რომ პროექტი ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა **„თბილისის"** ბაზაზე ხორციელდება და მასში სხვადასხვა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში საუკეთესო შედეგების მქონე 700-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. წარმატებული აღმოჩნდა გასული სასწავლო წელი ჩვენი სკოლის კიდევ ორი მოსწავლისათვის: **ანასტასია ჩაფიჩაძემ** და **ლუკა დანელიამ** წარმატებით დაასრულეს განათლების საბაზო საფეხური და წარდგენილნი არიან ჯილდოზე - **„ჩემი პირველი კომპიუტერი".** გვჯერა, მივულოცავთ გამარჯვებას. უამრავი დიპლომითა და სიგელით ხელდამშვენებული დაბრუნდა **„კინგსის"** ოლიმპიადიდან მესამეკლასელი **ვალერი ჯლანტიაშვილი.**


სასკოლო სპორტის საერთაშორისო დღე.შეჯიბრება VIII და IX კლასებს შორის მინიფეხბურთში


კრწანისობა 2019 წ.

უკვე მიმდინარე სასწავლო წელს არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა: ჩვენმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს **კრწანისობის** დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, ასევე - კრწანისის რაიონის მიერ ორგანიზებულ **სპორტულ-ინტელექტუალურ თამაშში,** სადაც წარმატებით იასპარეზეს. სკოლა გამოეხმაურა სასკოლო **სპორტის საერთაშორისო დღეს** - ჩატარდა შეჯიბრება **მინიფეხბურთში** მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებს შორის.

სკოლას კიდევ არაერთი ღონისძიება აქვს დაგეგმილი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მაია პაპუნაშვილი**, სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ნინო გოგოტიშვილი** და მთელი სასკოლო საზოგადოება მოწოდებულია, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ მყუდრო და უსაფრთხო სასკოლო გარემოში, რაც აუცილებლად დაგვირგვინდება ახალი წარმატებებით.

თქვენს ოპტიმიზმს ჩვენც ვუერთდებით და ვიზიარებთ. გაუმარჯოს ახალი სასწავლო წლის ძლიერ სტარტს, ფინიში სასიხარულო ყოფილიყოს!

**ბორის მიშველაძე,**
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

**რედაქციის მინაწერი:**
90 წლის მასწავლებელთა გაზეთი „სახალხო განათლება+"-ის რედაქცია სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს, ყველა მუშაკებს ულოცავს სწავლის დაწყებას, მასწავლებლის დღეს და „თბილისობას". დარწმუნებული ვართ, ერუდირებული, შემოქმედი პედაგოგის მაია პაპუნაშვილის ხელმძღვანელობით სასწავლო წლის დასასრული უთუოდ წარმატებული იქნება.

მე-9 საჯარო სკოლის მიღწევები თვალსაჩინოა

# სასწავლო გარემო შესანიშნავია, შედეგები — შესატყვისი



**ჩვენი** გაზეთის სტუმარია **ნოდარ ახალკაცის** სახელობის თბილისის მე-9 საჯარო სკოლა, რომელიც ხარისხიან განათლებაზეა ორიენტირებული და დედაქალაქის სხვა სკოლებს ნამდვილად არ ჩამორჩება დისციპლინითა და სწავლის დონით. როგორც გვითხრეს, სკოლა გამოირჩევა წესრიგითა და უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვით. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესით კი, კმაყოფილი არიან როგორც მოსწავლეები, ასევე მშობლები. აღნიშნული სკოლა მოწოდებულია იმისთვის, რომ აღზარდონ ჯანსაღი და განათლებული თაობა, რომელიც საქართველოს მოუვლის და სწორი გზით წაიყვანს, განაგრძობს ტრადიციებს და გაუფრთხილდება ეროვნულ ფასეულობებს. სწორედ, ეს კრიტერიუმებია მე-9 სკოლის მთავარი მახასიათებელი, რაც დირექტორის და პედკოლექტივის დამსახურებაა.

სკოლას ხელმძღვანელობს **მარინა გიგაური,** რომელიც გამოირჩევა პროფესიონალიზმითა და შესანიშნავი მენეჯერული თვისებებით. ქალბატონი მარინა მუდმივად ცდილობს სიახლეები დანერგოს და არსებული ტრადიციები ინოვაციებით გაამდიდროს. თავის საქმეს შესანიშნავად უძღვება დირექტორის მოადგილე **ელეონორა ფერაძე.** სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად არის ჩართული სამეურვეო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა მშობელი **ეკა მამარდაშვილი.**

**მარინა გიგაური:** უკვე მე-6 წელიწადია მე-9 სკოლის დირექტორი ვარ და დიდი სიამოვნებით ვაგრძელებ ჩემს საყვარელ საქმიანობას, ჩემს მაღალკვალიფიციურ კოლექტივთან ერთად. ვფიქრობ, ამ 6 წლის განმავლობაში ფრთაშესხმული საქმეები, მეორე ვადით არჩევისას გამოჩნდება. სკოლას ბევრი რამ სჭირდება და ყოველ წელს სიახლე ინერგება. მოწესრიგდა კლას-კაბინეტები საბუნებისმეტყველო საგნებისთვის, ბიბლოთეკა აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით და ახალი ლიტერატურით. ბიბლიოთეკის ერთ-ერთ პატარა ოთახს ეწოდა **ნოდარ ახალკაცის** სახელი, სადაც განთავსდა ფეხბურთის გუნდის **„დინამოს“** ვეტერანი ფეხბურთელების და საზოგადო მოღვაწეების ფოტოსურათები. პედაგოგები კმაყოფილები ვართ ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით, რაც მეტი სტიმულის მომცემია თითოეული ჩვენგანისთვის. სახელმწიფოს მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მასწავლებლის პროფესიულ ზრდას, რამდენიმე პედაგოგი დარეგისტრირებულია კვალიფიკაციის ასამაღლებელ სქემაში და მათ წარმატებებს ვუსურვებ. მომავალი წლიდან იგეგმება სკოლის სრული რეაბილიტაცია და სარემონტო სამუშაოები, რომელიც უფრო კომფორტულს გახდის სასწავლო გარემოს. ჩვენს სკოლაში ბავშვთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, ამჟამად 900 მოსწავლეა, ხოლო 3 პირველი კლასია. მოთხოვნა ძალიან დიდია, მაგრამ დამატებითი კლასები ვერ გაიხსნა შესაბამისი ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო. სკოლაში დაბრუნდა გოგებაშვილის დედა ენა, რაც სასიხარულო ფაქტია. პრაქტიკოსი პენსიონერი მასწავლებლებისთვის ფულადი ჯილდოს გადაცემის საფუძველზე, ორი ახალი კადრი დაემატა სკოლას ქართულ, რუსულ ენასა და ლიტერატურაში. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს (სექტემბერში) წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა. ასევე, უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა 3 პედაგოგს: **სალომე კბილაშვილს, მაია კვესელაძეს** და **მარი თაბუკაშვილს.** სკოლაში პირველიდან მე-7 კლასის ჩათვლით, განახლდა სასკოლო სახელმძღვანელოები. კლას-კაბინეტები კი, აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით. მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში, ოლიმპიადებსა და აქტივობებში.





მე-9 სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები, კოლეგები განიხილავენ და ერთმანეთს უზიარებენ განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებულ ნებისმიერ სიახლეს. გაგაცნობთ საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებს, ქართული ენა და ლიტერატურა **მაია ახალკაცი,** მათემატიკა **ადა თეთრაძე**, უცხო ენები **ნინო კიკაჩეიშვილი,** საბუნებისმეტყველო მეცნიერებები **ეთერ ჩიტოშვილი,** სპორტი და ესთეტიკური აღზრდა **ნინო ჭავჭავაძე,** დაწყებითი კლასები **ეკა ნასარაშვილი,** ესთეტიკის **მარი თაბუკაშვილი,** საზოგადოებრივი მეცნიერებები **მაია გოგაშვილი.**

გასული სასწავლო წელი ნაყოფიერი იყო სკოლისთვის, რადგან ყავდათ წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებიც ჩაირიცხნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ოქროს მედალოსნებმა **ნინო მიშველაშვილმა** 100% -იანი, ხოლო **ია ნარიმანიძემ** 50% სახელმწიფო გრანტი მოიპოვეს. სკოლაში ფუნქციონირებს შემოქმედებითი წრეები: ხატვის, კარატეს, მუსიკალური სტუდია და ცეკვის ანსამბლი **„აბჯარი“**. ასევე, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კალათბურთის გუნდ **„დელტა“**-სთან. მოსწავლეები ასევე, ჩართულები არიან **ბაკურ სულაკაურის** პროექტში **„ყველაზე წიგნიერი“,** რომელსაც ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი და ქართული ენის პედაგოგი **მაია ახალკაცი**. წლის ბოლოს გამოვლენილ გამარჯვებულ მოსწავლეებს, ტრადიციულად გადაეცემათ სიგელები და ფულადი ჯილდოები. მოსწავლეებთან ერთად პედაგოგი **მაია ახალკაციც** დაჯილდოვდა. ასევე, მოსწავლეები ჩართულები არიან შსს-ს დანაშაულის პრევენციის პროექტში **„იმიტირებული სამართალი“,** სადაც პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს. პირველი ადგილის მფლობელს გადაეცა შსს-გან მთავარი პრიზი. მოსწავლეები მონაწილეობენ **„კინგსის“, „ევერესტის“, „ეტელონი“**-ს ოლიმპიადებში, საიდანაც წარმატებულები და დიპლომებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან.





დირექტორი **მარინა გიგაური** და პედაგოგიური კოლექტივი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ იყვნენ საუკეთესონი საუკეთესოთა შორის. **მათი უდიდესი სურვილია, აღზარდონ მრავალი ჭეშმარიტი, განათლებული, ღირსეული მოქალაქე, რათა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.**

**ანანო სამელია**





# ნანა შენგელიძე: „სამშობლოს ღირსეული მოქალაქეები უნდა აღვუზარდოთ“




**ერთ-ერთი** ყველაზე აქტუალური, თანამედროვეობის ანტიპოდი ლოზუნგი საგულდაგულოდ მიჩქმალეს: **„კადრები წყვეტენ ყველაფერს!“** დაგვანელა დილეტანტების პარპაშმა, გააპარტახა ქვეყანა. თითქოსდა რა მარტივია – პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო, მაგრამ სწორედ მეპურეს რომ არ აკარებენ თონესა და ფურნეს მოყვრობა-დოსტობაში სამშობლოს, ხალხის ხარჯზე ჩაყურყუმავებული „ზეპურნი მამანი?“

ერთმა გონიერმა კაცმა თქვა, ცუდად ცოდნას, სულაც არცოდნა ჯობსო. დიახ, უვიცობა, დილეტანტიზმი ყველა დარგში დამღუპველია, მაგრამ განსაკუთრებით სავალალო განათლების სფეროშია, რადგან აწმყოს ხომ ღუპავს და ღუპავს, მომავალსაც საფუძვლიანად უთხრის ძირს.

ამიტომაცაა დასანახი და დასაფასებელი განათლების სისტემაში მომუშავე ყოველი პროფესიონალი. მათს მხრებზე დგას სწორედ ხელიხელ საგოგმანებელი მისია – სამშობლოსათვის მცოდნე, ზნეობრივად მდგრადი, პატრიოტი თაობების აღზრდა.

მაქსიმ გორკი ამბობდა, ბავშვებისათვის ისევე უნდა წერო, როგორც უფროსებისათვის, ოღონდ – უკეთესადო. ამ გამონათქვამის პერიფრაზით, ბავშვებს ისევე უნდა მოექცე, როგორც უფროსებს, ოღონდ – უკეთესად. ყმაწვილებში, უპირველესად, შენს ტოლსა და სწორს, პატარა ადამიანს უნდა ხედავდე, ვისაც ნაკლები ცოდნა და გამოცდილება აქვს და შესატყვისად მოექცე – ასწავლო, მაგრამ არა მაინცდამაინც მენტორის პედანტურობით, თითის ქნევითა და მშრალი, ხშირად უკულმართი ინსტრუქციებით, არამედ შეეცადო თავადაც „გაბავშვდე“, მისი აღქმის უნარი გაითავისო, პირადი მაგალითით მოიპოვი აღსაზრდელის ნდობა და ასე ატარო აღზრდისა და სწავლის რთულ გზაზე.

**ვასილ სუხომლინსკის** ჰკითხა ახალგაზრდა წყვილმა, როდიდან დავიწყოთ შვილის აღზრდაო. რამდენი წლისაა თქვენი ბავშვიო, უკითხავს მას, სამისო,



იყო პასუხი. სამი წლით დაგვიანებიათო, მიუგია დიდ პედაგოგს.

ანუ სწავლა-აღზრდას სასწყის-სასრული არა აქვს. იგი დროის ვერავითარ ჩარჩოებში ვერ ეტევა. კი, არის ოფიციალური ინსტრუქციები, მეთოდიკა, ცირკულარები, რეკომენდაციები, მაგრამ ყოველივე ამას შემოქმედებითი გააზრება, ყოველ აღსაზრდელზე ინდივიდუალურად მორგება და ასე განხორციელება სჭირდება, რადგან სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, შეიძლება ითქვას, უკიდეგანოა და პედაგოგი რაც უფრო მეტ თავისას, სულსა და გულში გამოტარებულს ჩააქსოვს მასში, შედეგიც უკეთესი იქნება.

სათქმელად ადვილია, გასაკეთებლად – ძნელი, მაგრამ თბილისის 103-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – ბატონი **არჩილ ჩხაიძე**) შემოქმედებითი კოლექტივი ახერხებს ყოველ მომდევნო სასწავლო წელს დანერგოს სწავლა-აღზრდის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამიზნული სიახლეები, ხოლო გაკვალულში ეძიოს და ჰპოვოს ის გზები და საშუალებები, რაც მეტად დახვეწს, მოსწავლეთათვის უფრო ადვილად აღსაქმელად აქცევს უკვე გამოცდილს. დრომოჭმული არაფერია. პედაგოგებს ძალუძთ, ისე მოარგონ განვლილი და განცდილი სასწავლო პროცესს, ისე მიიტანონ აღსაზრდელებამდე, რომ სიახლის განცდა არ განელდეს, მრავალჯერ გამეორებულს მოუნახონ განსხვავებული თვალთახედვა, მიდგომა. სწორედ ეს განაპირობებს წინსვლას, მარტივად პროგრესი რომ ჰქვია.




ფიზიკის, საზოგადოდ ბუნების კანონით, ერთნაირად დამუხტული სხეულები განიზიდება, მაგრამ განგებას კაცობრიობისთვის აუცილებელი ასეთი „უცნაურობაც“ მოსდგამს: ნიჭით, ნებით, უნარით, სიყვარულით ერთნაირად და ერთიანად დამუხტულ და ანთებულ ადამიანებს, დიდებული ქართულით სულისკვეთება რომ ჰქვია, შეახვედრებს, „ერთ სულ და ერთ ხორც“ შეადუღაბებს და ერისა და ქვეყნის მსახურად ხელდასხამს.



ასეთია 103-ე სკოლის პედაგოგთა კოლექტივი. ასეთი სულისკვეთებით წარმართავს კოლეგებთან მუშაობას და თავადაც მასწავლებლობს – ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის დირექტორის მოადგილე ქალბატონი **ნანა შენგელიძე**.

სათანადო დარგის ფსიქოლოგთა მტკიცებით, პირველი შეხვედრისას შთაბეჭდილება სულ რაღაც 30 წამში ყალიბდება და, უმეტესად, აღარ იცვლება. ასეთი პირველი შთაბეჭდილება ქალბატონ ნანასთან შეხვედრისას – **ადამიანი თავის ადგილზე**.

რატომ?

უპირველესად, იმიტომ, რომ მისი არჩევანი – მასწავლებლობა ბავშვობიდანვე იყო განპირობებული. საოცარი სითბოთი გაიხსენა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ქალბატონი **ზულო ფუხაშვილი**, ვისმა ოსტატობამაც და გულქართულობამაც სწორედ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა აარჩევინა და 1986 წლიდან, დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებიდან, ეწევა კიდეც ამ საპატიო საქმეს.

შემდეგ – ვინც წუწუნებს, სხვა გზა არ მქონდა, მასწავლებლობაღა შემრჩა ხელთო, ის სკოლას სათოფეზე არ უნდა გააკარო. ჩემი პროფესია ყველაზე საპატიო და საამაყოა ამქვეყნად, რადგან **„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.**

ასეთია მოწოდებით, არსით პედაგოგის, ქალბატონი ნანას ცხოვრებისეული კრედო.

სკოლის წარმატებებზე მესამე პირში ლაპარაკობს. გამოკვეთავს, რომ ეს, უპირველესად, მთელი კოლექტივის დამსახურებაა, მაგრამ ხომ ვიცით – სათანადო ხელმძღვანელობის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორად დაგეგმვა-წარმართვის გარეშე, რასაც უშუალოდ მოადგილე ხელმძღვანელობს, აჯამებს, ურჩევს, კოლეგებთან ურთიერთობს, პედკოლექტივის შრომის მარგი ქმედების კოეფიციენტი გარჯაზე ნაკლები იქნებოდა. თავმდაბლობა კი ერთი სათნოებათაგანია. ხომ გვმოძღვრავს უფალი, ვინაც თავი დაიმდაბლოს, იგი ამაღლდესო.

სკოლის თვალსაჩინო წარმატებებზე ჩვენი გაზეთიც წერდა და ტელევიზიებმაც გააშუქა. მშობელთა ნდობის უტყუარი დასტური – სულ რამდენიმე წელიწადში მოსწავლეთა რაოდენობამ 500-დან – 962-მდე გაიზარდა და მსურველი კიდევ რამდენია?!

**ნანა შენგელიძე**: „ბავშვები ეროვნულ ნიადაგზე, ეროვნული სულისკვეთებით უნდა აღიზარდონ. თუ შენი არ იცი, შენსას არ სცემ პატივს, ვერც სხვა ხალხების კულტურის პატივისცემას შეძლებ. მშობლიური ენა და ლიტერატურა ის ძირთაძირია, რაზეც ასეთი აღზრდა უნდა დაფუძნდეს და ეს ძალზე დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს.

განათლების სისტემაში სასიკეთო ძვრებია, მაგრამ ყოველი დაწყებული საქმე, უნდა დამთავრდეს კიდეც და არა ჰაერში გამოეკიდოს, რაც ძალზე ვნებს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს.

მაქსიმალურად ვცდილობთ, მშობლების ჩართვას სკოლის ცხოვრებაში. საამისოდ **„ვირტუალური სკოლაც“** გვაქვს: მშობლებს შეუძლიათ მისი მეშვეობით მოგვმართონ მათთვის სასურველ თემებსა და საკითხზე. სკოლის ღონისძიებებშიც ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი. ბევრია გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი ოჯახი. გზის ფულიც უჭირთ. ამიტომ სკოლაში ვქმნით ისეთ გარემოს, რომ მოსწავლეები სხვაგან წასასვლელნი მაქსიმალურად არ იყვნენ – სპორტი, ცეკვა, მუსიკა...

ჩვენი სკოლა მიღწეულს არ დასჯერდება ილიასეული თერგის დარად – მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა, ჩემო თერგო, ცხოვრებისათვის ძალისა და სიცოცხლის მომცემიო. ჩვენი ძალა და სიცოცხლე კი ჩვენი მოსწავლეები არიან და სამშობლოს ღირსეული მოქალაქეები უნდა აღვზარდოთ“.

ასე იყო, ასე არის და, მჯერა, ასეც იქნება – 103-ე სკოლა მოწინავე იყო, არის და იქნება.



**კონსტანტინე გურგენიძე**

# ყოველდღიურობად გარდაქმნილი ექსპერიმენტი

***წარდგინება:** თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლა (თავიდან – კ. უშინსკის, შემდეგ გრ. ხანძთელის სახელობისა) 1967 წელს დაარსდა. მისი პირველი დირექტორი განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი ბატონი ლევან ჩიქვანაია გახლდათ. იმავე წლიდან, დაწყებითი კლასების პრობლემებზე, სკოლაში მუშაობა დაიწყო ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიალექტიკის ლაბორატორიამ პროფესორ შალვა ამონაშვილის ხელმძღვანელობით.*



*ლაბორატორიის მუშაკთა ჩანაფიქრებს, იდეებს სკოლის პედაგოგები ასხამდნენ ხორცს. ასეთი ურთიერთთანამშრომლობით იქმნებოდა სახელმძღვანელოები, დიდაქტიკური მასალები; მუშავდებოდა მეთოდური მითითებები.*

*ლაბორატორიის კვლევაძიებითი მუშაობა, ძირითადად, ბავშვის საერთო განვითარების ლ. ვიგოტკისეულ მოძღვრებასა და დ. უზნაძის განწყობის თეორიას ეფუძნებოდა. წინა პლანზე სწავლების განმავითარებელი ფუნქცია იყო წამოწეული. ბავშვებს მზამზარეული ცოდნა როდი ეძლეოდათ – ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, ისინი უშუალოდ მონაწილეობდნენ ამა თუ იმ „მეცნიერულ აღმოჩენაში".*

*საფუძველი ჩაეყარა 5-დღიან სასწავლო კვირას, მაპროფილებელ სწავლებას (უფროსკლასელთათვის), დაწყებით კლასებში ცოდნის უნიშნოდ შეფასებას, 35-წუთიან გაკვეთილებს. შემუშავდა ექვსწლიანთა სწავლების თეორია, კლასგარეშე მუშაობის შინაარსი და მისი ორგანიზების წესი დაწყებით კლასებში; დაინერგა გაკვეთილები ზნეობრივ-ესთეტიკურ აღზრდაში, განმავითარებელი სავარჯიშოთა სისტემა...*

*ეს სიახლეები საქართველოსა და საზღვარგარეთის სკოლებში გავრცელდა.*

*ამ გამოცდილების შესასწავლად სკოლაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ მასწავლებლები, მეცნიერები.*

*სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად შეიქმნა მრავალი მეცნიერული ნაშრომი. მათგან, საქვეყნოდ ცნობილი, მრავალ ენაზე თარგმნილი ტრილოგია „პედაგოგიური სიმფონია".*

***

უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ექსპერიმენტი ლათინური სიტყვაა და მეცნიერულად დაყენებულ ცდას, გამოსაკვლევ მოვლენაზე (ობიექტზე) ზუსტად განსაზღვრულ პირობებში დაკვირვებას ნიშნავს, რაც მოვლენის განვითარებაზე მეთვალყურეობისა და ამ პირობების ყოველი გამეორებისას მისი აღდგენის საშუალებას იძლევა.

პირველ ექსპერიმენტულ სკოლას, „ექსპერიმენტული", სავარაუდოდ, სწორედ იმიტომ ეწოდა, რომ მისი დაარსებიდანვე დაიწყო იქ ბავშვებისათვის აგრერიგად საჭირო, მათი გონებრივი, ზნეობრივ-მორალური განვითარებისათვის გამიზნული ექსპერიმენტი. ცხადია, სკოლა იმთავითვე ჰაიჰარად არ შეირჩეოდა – წინასწარ გამოიკვლევდნენ, რა ძალისა და შეძლების პედაგოგები მუშაობდნენ იქ, რადგან სწორედ მათ უნდა განეხორციელებინათ, ბავშვებთან მიეტანათ მეცნიერთა ნააზრევი.

რა დიდებულად შეძლეს ექსპერიმენტის დანერგვა სკოლის ცხოვრებაში, მეცნიერებთან თანამშრომლობით მასწავლებლებმა, ზემოთხმობილი წარდგინებაც წყალგაუვლად ადასტურებს.

ბუნებაში არაფერი იკარგება – გადასხვაფერდება ხოლმე. არც პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში დაკარგულა მიღწეული შედეგები.

დირექტორი **გიორგი შავლაძე**: „სკოლა დიდი ტრადიციების მატარებელია. იგი ახლაც ერთ-ერთი მოწინავეა აკადემიური მიღწევებით; ძალზე გონიერი, ძლიერი ბავშვებია. აქაური I-II კლასების ყმაწვილები, განვითარებით, სხვა სკოლების IV-V კლასელებს შეიძლება შევადაროთ!"



ბატონი გიორგი ამ სასწავლო წლიდანაა პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი. იგი სამეურვეო საბჭომ აირჩია, მაგრამ მანამდე სხვადასხვა სკოლის დირექტორი გახლდათ. პირველად 33 წლისა ხელმძღვანელობდა 115-ე საჯარო სკოლას.

ასეთი ახალგაზრდის ესოდენ პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშვნა იმას ნიშნავს, რომ, ვინც ჯერ არს, დაინახა მისი ის თვისებები, რაც აუცილებელია დირექტორისთვის (იგი მასწავლებელთა სახლის ტრენერიცაა) , ამიტომ ბატონ გიორგის აქვს შედარების საშუალება.

პედაგოგები, რომელთაგან ერთი – მენტორი, 14 – წამყვანი, 91 – უფროსი და 14 პრაქტიკოსი მასწავლებელია, განუხრელად ეძიებს და ჰპოვებს კიდეც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ახალ-ახალი მიგნებებით გამდიდრების გზებსა და საშუალებებს; ყოველი აღსაზრდელის ინდივიდუალობის გათვალისწინებით ნერგავს იმ მეთოდებსა და რეკომენდაციებს, რაც მხოლოდ აქაურ პედაგოგთა ხელწერაა.

გამართულად, ურთიერთშეთანხმებულად და მიზანმიმართულად მუშაობს ყველა საგნობრივი კათედრა. შემუშავდა საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები. სახელდობრ, საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლების კოორდინირება; ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება; პროფესიული განვითარების გზების დასახვა; წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების გამონახვა.

დირექტორმა განსაკუთრებით გამოყო დაწყებითი განათლების კათედრა. რაოდენ რთულია განსხვავებული ხასიათის, შესაძლებლობების პატარების დაინტერესება, დისციპლინისათვის მიჩვევა, სწავლების ისე წარმართვა, რომ ყმაწვილებმა ხალისიანად, ლამის თამაშ-თამაშ შეიყვარონ სწავლა. ამას სწორედ ბავშვების ასაკობრივ თავისებურებებზე, ინტერესებსა და მისწრაფებებზე ზედმიწევნით გათვლილი მრავალი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიება დაერთო, რაშიც მშობლებიც აქტიურად არიან ჩართულნი, რაც თავიდანვე აახლოებს სკოლასა და მშობლებს, შვილებთან ურთიერთობასაც აუმჯობესებს და დარწმუნდებით, რომ პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში თავიდანვე ჯანსაღ კალაპოტში წარიმართება ყმაწვილების სწავლა-აღზრდა. ეს კი ნაყოფიერ ნიადაგს უმზადებს მომდევნო კლასების პედაგოგებს მოსწავლეებთან და მშობლებთან ასეთივე წარმატებული მუშაობისათვის.

მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიული განვითარების სქემაში და განუხრელად ზრუნავენ თვითგანვითარებისთვის. ადმინისტრაცია ყოველმხრივ უწყობს ხელს პედაგოგთა პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ერთ-ერთი პრიორიტეტი დისციპლინა და უსაფრთხო გარემოს შექმნაა, რისთვისაც ერთობლივად მუშაობენ დირექცია, კლასების ხელმძღვანელები, მანდატურის სამსახური, მშობლები და მთელი ეს მუშაობა არა მენტორულად, მბრძანებლურად წარიმართება, არამედ მოსწავლეებთან ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთნდობის საფუძველზე.

ასეთივე ურთიერთობაა პედკოლექტივში, კოლეგიალურად, შეთანხმებულად, ყოველი გონივრული წამოწყების გათვალისწინებით მუშაობენ მასწავლებლებთან დირექტორის მოადგილეები, ქალბატონები: **ქეთევან მიქანაძე, ცისანა დოლიძე** და **თათია ახალაძე.**

წლეულს 7 ახალი პედაგოგი მიიღეს. სკოლაში ყველა პირობაა, რომ „ახალწვეულები" მალევე შეერწყნენ ამ შემოქმედებით კოლექტივს. გამოცდილება და ენთუზიაზმი კი იმ ოქროს შუალედს შექმნის, რაც ყველაზე უკეთეს შედეგებს იძლევა ხოლმე.

24-ოქროსა და 11 ვერცხლის მედალოსანი ჰყავდათ. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში 4 მოსწავლე გადავიდა. ისინი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ზაფხულის ბანაკებში გაემგზავრნენ. მათგან ერთი მოსწავლე პარიზში გამართულ ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობდა.

კეთილი და პატიოსანი. კარგია ასეთი წარმატებები, მაგრამ უკეთესი და უმნიშვნელოვანესი ისაა, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი სკოლის 2500-ვე მოსწავლეს ერთიანად მოიცავს. სკოლა მთლიანად აღსაზრდელებზეა ორიენტირებული და მისი კრედოა: სკოლიდან მხოლოდ მცოდნე, ზნეობრივად მდგრადი მოზარდი გამოვიდეს. მაგრამ მჯობნის-მჯობნი ნუ გამოგვილიოს ღმერთმა და ზემოხსენებული ყმაწვილები სხვაგანაც გამორჩეულნი არიან.

დირექტორის თქმით, კარგია მასწავლებელთა გადამზადება. პროცესს უნდა მიჰყვე, არ უნდა ჩამორჩე თანამედროვეობას. მასწავლებელი ყოველთვის ბავშვების სიყვარულით აღსავსე უნდა იყოს, სხვანაირად მას სკოლაში არა ესაქმება რაო.

ჯერ კიდევ ისტორიის მამად ცხებული ჰეროდოტე წერდა, მამები უკმაყოფილოები არიან შვილებითო. ანუ აღზრდა ათადან-ბაბადან იყო კაცობრიობის პრობლემა, ხოლო სწავლის გარეშე როგორ აღზრდი?!

ამიტომ ეს პრობლემა მარადჟამს აქტუალურია. მას ყავლი არ გასდის, ოღონდ, დროის შესატყვისად იცვლება მისი ხერხები და მეთოდები, არსი კი იგივე რჩება – სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, მცოდნე, სამშობლოს მოყვარული თაობების აღზრდა.

სწორედ ასე დგას, ამისთვის ილვწის და ახორციელებს კიდეც დაარსებისთანავე პირველი ექსპერიმენტული სკოლა. შემოქმედმა, მცოდნე და მთლიანად აღსაზრდელებზე ორიენტირებულმა არსით, მოწოდებით პედაგოგებმა შეძლეს და ექსპერიმენტი სკოლის ყოველდღიურობად გარდაქმნეს.




**კოტე ოდიშელიძე**

**P. S. სკოლამ მოსწავლეებისათვის სასიკეთო საერთაშორისო ურთიერთობები დაამყარა რისი ერთი დასტური ეს ფოტოებიცაა: ჰარვარდის პოლიციის უფროსმა *ედუარდ დერმარკმა* საინფორმაციო შეხვედრა გამართა ბულინგზე, ყმაწვილებს შორის ურთიერთობასა და ნდობაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის, დაგეგმარებისა და ანალიზის თბილისის და მცხეთა-თიანეთის ცენტრის უფროსი და მართლწესრიგის ოფიცრები.**

ნომრის სტუმარია 67-ე საჯარო სკოლა

# პროფესიონალიზმი გადამწყვეტია წარმატების გზაზე



**თბილისის 67-ე საჯარო სკოლა** მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. აქ მოსწავლეები ხარისხიან განათლებასთან ერთად, შემოქმედებით უნარებსაც იძენენ. ახალ სასწავლო წელს სკოლა კარგად მომზადებული შეხვდა, ეს რა თქმა უნდა, სკოლის დირექტორის **ნანა ჟორჟოლიანის** დამსახურებაა, რომელიც გამოცდილი მენეჯერია. სკოლის ყველა პედაგოგი და თანამშრომელი ზრუნავს მოსწავლისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე და რა თქმა უნდა, სწავლა - აღზრდაზე თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.

სკოლა ამაყობს წარმატებებით და მაღალკვალიფიციური პედაგოგებით. 2019-2020 სასწავლო წელს სტატუსი აიმაღლა 6-მა პედაგოგმა: **ნანა ჟორჟოლიანმა, თამარ ცინცაძემ, მარიამ ლებანიძემ, მერი ცარციძემ, ლარისა საქუაშვილმა** და **ლელა კუპრაშვილმა.** პროფესიონალებით დაკომპლექტებულ გუნდს შეემატა სამი ახალგაზრდა პედაგოგი - ბუნებისმეტყველებისა- **სოფიკო გაფრინდაშვილი;** სამოქალაქო განათლებისა - **გიორგი სახელაშვილი;** სპორტისა - **საბა ნერგაძე;** ამჟამად სკოლაში მოღვაწეობს 39 პედაგოგი, მათგან ოცდათერთმეტს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი; 2 პედაგოგი ემზადება წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისაღებად; 3 მასწავლებელი არის მაძიებელი; ოთხი პრაქტიკოსი, რომლებიც იანვარში გახდებიან უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონენი.

67-ე საჯარო სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობას. სკოლა ერთ-ერთი პირველი ჩაერთო ინკლუზიური განათლების პროგრამაში. აქვს დიდი გამოცდილება, გაზიარების მიზნით ხშირად ჩამოდიან რეგიონებიდან, ესწრებიან



საგაკვეთილო პროცესს და იღებენ პროფესიულ უნარ- ჩვევებს. სკოლის პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ რესურს ოთახთან , მუშაობენ სპეციალურ



მასწავლებლებთან: **ნანი ნათელაშვილთან, ნატალია მჭედლიშვილთან, ნინო ზედგენიძესთან** და ფსიქოლოგ **ნათია სიხარულიძესთან.** მუშაობა მიმდინარეობს კოორდინირებულად, მშობელთა აქტიური ჩართულობით.

მეტად ეფექტიანია საგნობრივი კათედრების მუშაობა. ფუნქციონირებს შვიდი საგნობრივი კათედრა. ესენია: სახელმწიფო ენა- ქართული ენა და ლიტერატურის კათედრა - ხელმძღვანელი **ნანა მამუკელაშვილი,** მათემატიკისა - **ლელა კუპრაშვილი,** უცხოური ენის (ინგლისური, რუსული)- **ნუნუ ჩხაიძე,** საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა --- ხელმძღვანელი **გულნაზ ლორია,** საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა - **თამარ ღვედაშვილი,** სპორტისა და ესთეტიკის - **რუსუდან ხორბალაძე,** დაწყებითი კლასების-ინტეგრირებულ საგანთა - **ზეინაბ არაბული.**

მიუხედავად იმისა, რომ ერთი თვეც არ არის გასული სასწავლო წლის დაწყებიდან სკოლა ჩაერთო აქტიურ სასწავლო -სააღმზრდელო საქმიანობაში. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში, საიდანაც დაჯილდოებულები ბრუნდებიან.

გვყავს ერთი პირველი კლასი და მათი დამრიგებელია **ეკა ფეიქრიშვილი**. მათ 30 სექტემბერს ზეიმით აღნიშნეს ანბანის შემობრძანება და კითხვის დაწყება ლიტერატურულ მუსიკალური კომპოზიციით **„გამარჯობა ანბანო“ ( ე. ფეიქრიშვილი, რ. გვეტაძე.).** 24 სექტემბერს სკოლამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ღინისძიებაში - **„კრწანისობა 2019 წელი“** - ხელმძღ. **ცირა ნაყეური, ირმა ქენქაძე.**

კრწანისის გამგეობის მიერ ჩატარებულ სპორტულ- ინტელექტუალურ თამაშში თემაზე **„გააცოცხლე საქართველოს ისტორია“** აქტიური მონაწილეობა მიიღეს მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებმა, მათ შორის სსსმ მოზარდებმა, რომლებმაც აჩვენეს მაღალი ინტელექტი და დაიკავეს მე-2 ადგილი. ხელმძღვანელი - **ცირა ნაყეური, ირინე გოჩიტაშვილი.**





გასული სასწავლო წელი სკოლამ წარმატებით დაამთავრა, გამოუშვა სამი ოქროს მედალოსანი, ესენია: **თიკა სიბოშვილი, გიორგი კაპანაძე, ლიანა გასვიანი,** ასევე სამი **„ჩემი პირველი კომპიუტერის“** მფლობელი: **მარიამ ჭონქაძე; ელენე ხაჭაპურიძე; გიორგი ონიანი;** დაწყებითი კლასიდანვე მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ოლიმპიადებში (**კინგსი, ევერესტი, სმარტი, ვუნდერ.ჯი.** და ა. შ.)

**„კინგსი“**-ს შარშანდელმა გამარჯვებულმა **ანასტასია რამაზაშვილმა** მიიღო საქართველოს მასშტაბით **„საუკეთესო მე-4 კლასელის ტიტული“** და დაენიშნა ერთწლიანი სტიპენდია 100 ლარის ოდენობით (დამრიგებელი, **ნინო რუხაძე**).



მაღალი შედეგები აქვთ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს, ესენია: **თამუნა წამალაიძე, მარიამ ქარდავა, როინი ფირცხელაური, დავით ნავტალევი, ანდრია მელიქიშვილი, სანდრო ხუციშვილი, ნიკოლოზ სიხარულიძე, ნიკოლოზ სახვაძე, კესო ხორავა,** (პედაგოგები **ლიანა სადრაძე, თამარ ცინცაძე, ზეინაბ არაბული, მარიამ აფხაიძე, მარიამ ლებანიძე, ლელა ლომიძე ეკა ფეიქრიშვილი).**

შარშან ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში, რუსულ ენაში, გაიმარჯვა **ნაზარ რაგულინმა,** რომელიც დაჯილდოვდა წყნეთის და ანაკლიის ბანაკის საგზურებით. სკოლა ასევე, აქტიურად არის ჩართული კონკურსებში **„ტვინების ბრძოლა“, „ეტალონი“, „კრწანისის ეტალონის“** მოსწავლე- **ელენე ძიმცეიშვილმა,** საქართველოს მასშტაბით მაღალი შედეგი აჩვენა სწორი პასუხების - მცირე მონაკვეთში გაცემაზე.

**„ტვინების ბრძოლაში“** გაიმარჯვა მე-6 კლასის მოსწავლემ **ლუკა ცხვედიანმა.**

67-ე სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას. სკოლა აქტიურად მონაწილეობს საქალაქო სპორტულ ღონისძიებებში.აქვს წარმატებები ფეხბურთში და ფრენბურთში, სადაც გამოვლინდნენ პრიზიორები. მოქმედებს ფასიანი ცეკვის წრე, რომელიც ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსებსა თუ ფესტივალებში.

ასევე, ფუნქციონირებს უფასო მუსიკალური წრე **„ზღაპარ ქალაქი“ (ხელმძღ. რ. გვეტაძე, ც. ნაყეური).** მუსიკალური წრე ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს. დაწყებითი კლასების-ინტეგრირებულ საგანთა კათედრის ინიციატივით მოეწყო ღვაწმოსილი პედაგოგების გაცილება, მუსიკალურ -ლიტერატურული კომპოზიცია **„ჩვენი ერის ხსნა თქვენშია“ (ლ. სადრაძე, რ. გვეტაძე).**

67-ე სკოლის წარმატებების სრულად ჩამოთვლას ერთი საგაზეთო სტატიაც არ ეყოფა. **აქაური პედკოლექტივი ძალისხმევას არ იშურებს, რათა მაღალ დონეზე წარიმართოს მოსწავლეთა განათლება და აღზარდოს ინტელექტუალური, თანამედროვე უნარ- ჩვევებით აღჭურვილი, ტოლერანტი მომავალი თაობა. ამ სიმაღლეების დალაშქვრა რეალური ფაქტია.**

**მზია გოგოძე**



29-ე ბაგა-ბაღი მუდამ მოწინავეა

# საიმედო დასაყრდენი





**დედაქალაქის** ბაგა-ბაღებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული 29-ე ბაგა-ბაღია. ამ საბავშვო დაწესებულებაში ყველაფერი ძალიან ლამაზი, თვალშისაცემი და მშვენიერია. გარეგნული იერსახის გარდა, იგი გამოირჩევა სანიმუშო აკადემიური მოსწრებით, დისციპლინით და პატარებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით. აქ ცეროდენებს ნამდვილად მოუხარიათ და მშობლებიც უსაზღვროდ კმაყოფილები არიან.

ბაგა-ბაღის დირექტორი **ლალი ნოზაძე** ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ პატარებს სასიამოვნო განწყობა შეუქმნას და აქ გატარებული წლები ტკბილ მოგონებად დარჩეთ. ქალბატონი ლალი, უკვე 42 წელია სკოლამდელი აღზრდის სისტემაში მოღვაწეობს და უამრავი თაობის აღმზრდელია. იგი დედასავით ზრუნავს პატარებზე და არცერთ მათგანს მზრუნველობას არ აკლებს. გამოცდილ პროფესიონალს მუშაობის საკუთარი სტილი და მეთოდი აქვს, რომელსაც აქტიურად იყენებს სააღმზრდელო საქმიანობაში. იგი შესანიშნავად უძღვება ბაგა-ბაღს და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებსა და თანამშრომლებს შორის. ბუნებით ესთეტი ქალბატონის სურვილია, რომ მის ირგვლივ ყველაფერი მოწესრიგებული და ჰარმონიული იყოს. ამიტომაც, თავს არ ზოგავს, რათა ბაღში იყოს იდეალური გარემო, კომფორტი და სისუფთავე. დირექტორს, მხარში უდგას ბაღის მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ, რათა პატარებს სასიამოვნო გარემო შეუქმნან.



აღსაზრდელებს, დედობრივ მზრუნველობასთან ერთად, შემოქმედებით უნარებსაც უვითარებენ. ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ზეიმები, კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები... ბაღში წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა.



**ლალი ნოზაძე:** ახალი სასწავლო წლისთვის საგულდაგულოდ მოვემზადეთ, ბაგა-ბაღების სააგენტოს და მისი ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მხარდაჭერით, ბაღი კიდევ უფრო გალამაზდა. აქ ყველაფერი მოწესრიგებულია, 10 ჯგუფში 486 აღსაზრდელი გვყავს. ბავშვთა რაოდენობა ბევრია და მსურველეთა რიცხვი გაცილებით მეტი, რადგან ერთ-ერთი პრესტიჟული ბაღია და ბევრ მშობელს უნდა ჩვენთან შვილები მოიყვანოს. მენიუ მრავალფეროვანია, დაცულია კალორიულობა, ცილების და ცხიმების რაოდენობა. ვიღებთ მაღალი ხარისხის პროდუქტებს. ბაგა-ბაღების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ძალიან გულისხმიერი პიროვნებაა და საგულდაგულოდ ეცნობა დედაქალაქში არსებული ბაღების პირობებს. ჯგუფების გადატვირთვის გამო და უფრო მეტი ყურადღების თვალსაზრისით, დაგვემატა ახალი თანამშრომლები, 5 აღმზრდელის თანაშემწე, 2 მზარეული, ცეკვის პედაგოგი და დამლაგებლები. მშობლები კმაყოფილებას გამოთქვამენ ბაღის ფუნქციონირებით და ეს ძალიან გვახარებს. ბაგა-ბაღი დაკომპლექტებულია პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური კადრებით. თანამშრომლებს ერთმანეთთან მეგობრული და თბილი დამოკიდებულება აქვთ და რაც მთავარია, კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ბაღში ფუნქციონირებს **„სასკოლო მზაობის“** 3 ქართული და ერთი რუსული ჯგუფი. რაც შეეხება ბიუჯეტს, აქ ყველაფერი გამჭვირვალედ ხორციელდება... სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** ინიციატივით, ამ სფეროში ყველაფერი უმაღლეს დონეზეა. ბაღმა 3 ინვოისი მოიპოვა და თანხაც მიზანმიმართულად ნაწილდება. ასე რომ, კმაყოფილები ვართ სააგენტოს მუშაობით. ბაღის კაპიტალური რემონტი 5-6 წლის წინ ჩატარდა. ეზოში 25 სახეობის სათამაშო და ატრაქციონია დამონტაჟებული, ღობე განახლებულია და ბაღის ტერიტორიას ამშვენებს სხვადასხვა მწვანე ნარგავები. უსაფრთხოების წესები დაცულია. თუმცა, რამდენიმე თვის წინ სამზარეულოში მცირე ხანძარი გაჩნდა და ისე მობილიზებულად გავიყვანეთ პატარები ეზოში, შემთხვევის ადგილზე მოსული უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები გაოცებულები იყვნენ... ხანძრის ლიკვიდაციის შემდეგ, სააგენტოს და თელასის მუშაობის შედეგად, ორ დღეში აღდგა ბაღის ფუნქციონირება. აღსაზრდელების კვებას დიდი ყურადღება ექცევა, საკვები პროდუქტებით გვამარაგებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. პროდუქტები ახალია და ხარისხიანი. საკვები მენიუ კარგად არის შედგენილი. ნეტა ყველა ოჯახი ისე იკვებებოდეს საქართველოში, როგორც ბაღში ვკვებავთ ბავშვებს. ჩვენი ბაღის წესების მიხედვით, აღსაზრდელებს სასწავლო წლის დასაწყისში ვწონით და მაისის ბოლოს, განსხვავება საგრძნობლად დიდია და მშობლებიც კმაყოფილები არიან.



29-ე ბაგა-ბაღი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მეთოდური სახელმძღვანელოებით. ბაღი დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით. მეთოდისტმა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები გაიარა და შემდეგ, შიდა გადამზადება ჩაუტარა მულტიდისციპლინარულ ჯგუფს. აქ დიდი ყურადღება ექცევა ჰიგიენური წესების დაცვას და ბავშვების ჯანმრთელობა საიმედო ხელშია.

ბაგა-ბაღის შენობაში შესვლისთანავე, თვალში მოგხვდებათ შესანიშნავი დიზაინით გაფორმებული ინტერიერი და დერეფნები, რომელსაც ალამაზებს ათასგვარი ყვავილები, თვალსაჩინოებები, ნახატები, აპლიკაციები და სხვადასხვა ნაკეთობები. ეს ყველაფერი კი, აქაური მესვეურების ნახელავია, თვალსაჩინოებების განახლება წელიწადის დროების მიხედვით ხდება და ამ პროცესში, პედაგოგებთან ერთად, პატარებიც მონაწილეობენ. ბაღში დამკვიდრებულია გუნდური მუშაობის პრინციპი, ყველა თანმშრომელი შესანიშნავად უგებს ერთმანეთს და არის მეგობრული ატმოსფერო. ისინი სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ და აქ სულ შემოქმედებითი პროცესია. ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ პატარებს დაუვიწყარი ბავშვობა ჰქონდეთ.

მოკლედ, აქაურობას, ერთი შეხედვითაც ეტყობა მზრუნველი დიასახლისის ხელი და ამიტომაც არის, რომ ბაღმა არაერთ წარმატებას მიაღწია. იგი დასახელებულია დედაქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო, საბავშვო დაწესებულებად.

**ნათია გუგუნავა**







208-ე ბაგა-ბაღში ცეროდენების შრიამული არ წყდება

# სახალისო აქტივობების მოლოდინში



ბავშვთა აღზრდის თანამედროვე მეთოდოლოგია და სტანდარტები დროულად და ეფექტიანად ინერგება თბილისის 208-ე ბაგა-ბაღში, რომელსაც 2017 წლიდან სათავეში უდგას შემოქმედი დირექტორი **ნანა არჩვაძე.** აქ ნიჭიერი, გამოცდილი, შრომისმოყვარე აღმზრდელ-პედაგოგები, შემოქმედებითი თუ ტექნიკური პერსონალი გატაცებით მოღვაწეობს. **ნანა არჩვაძე** დედაუნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, გეოგრაფია-გეოლოგიის სპეციალობით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება 171-ე ბაღში მიიღო და მას შემდეგ პატარებისთვის საიმედო და ჯანსაღი გარემოს შექმნაზე ზრუნავს.

კოლექტივში თბილი, კოლეგიალური და მოწესრიგებული გარემოა. ჩატარებულ სამუშაოებსა და მიღწეულ შედეგებში თავისი წვლილი შეაქვთ საუკეთესო სპეციალისტებს: დირექტორის მოადგილე **მარიამ ქოჩლაძეს,** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორ **ნანა ცაავას**, საქმისმწარმოებლებს – **მაია მაისურაძეს** და **ირმა ქურაძეს**.

ბაგა-ბაღში 6 ჯგუფში 195 აღსაზრდელია, აქედან ერთი ბაგისაა. ბავშვზე ორიენტირებულ, თამაშზე დაფუძნებულ რჩევებსა და მიდგომებს ითვალისწინებენ სასკოლო მზაობის 2 ჯგუფში აღმზრდელები – **მაკა ქიმაძე** და **თეონა მეშვილდიშვილი,** აღმზრდელის თანაშემწეები – **მარი სუარიშვილი** და **მაკა მერლანი**; პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას სწორად წარმართავენ საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები **ნინო ქანწაშვილი** და **ანა სოხაძე.**

აღმზრდელები – **ქეთევან მეფარიშვილი, თამარ ბერიძე, ნინო ქათამაძე, ხათუნა ლომსაძე, ნათია ცომაია** – ყურადღებით აკვირდებიან ბავშვის განვითარების დონეს, უზრუნველყოფენ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში მათ ჩართულობას, ქმნიან მრავალფეროვან გარემოს ბავშვთა ასაკობრივი უნარების განვითარებისათვის.

თითოეულ პატარას ზრუნვას არ აკლებენ აღმზრდელის თანაშემწეები: **მზია ცნობილაძე, ნინო ბურნაძე, შორენა გაბოძე, ნათელა მამუკაშვილი, მაია ნატროშვილი, რუსუდან ბორცვაძე**, რომელთა შრომაც მეტად დასაფასებელია;

ბაგა-ბაღი ჩართულია ეფექტიან სააღმზრდელო პროექტებში, დიდი ყურადღება ექცევა ინკლუზიურ განათლებას, განსაკუთრებული საჭიროებების ბავშვების ინდივიდუალურ ჩართვას პროცესში. სპეც. პედაგოგი **მაია ზაგაშვილი**: – ვმუშაობთ ამ ბავშვების ინტეგრაციაზე ჯგუფებში, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. საკმაოდ კარგი შედეგები გვაქვს, უკვე კონტაქტობენ გარშემომყოფებთან; მეტყველების დარღვევების მქონე ბავშვებთან ლოგოპედები **შორენა კურტანიძე** და **მაია ბერიძე** მუშაობენ.

აღსაზრდელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სარაიონო თუ საქალაქო ღონისძიებებში, ზეიმებზე, სადაც მუსიკალურ აქტივობებს ლამაზად აფორმებენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები: **ინგა სვანაძე, მარიამ ღაღანიძე** და **თამარ მარლიშვილი;**

ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის ამ კერაში, კალორაჟის დაცვით, ჯანსაღი პროდუქტისგან უგემრიელეს კერძებს ამზადებენ მზარეულები: **აზა პეტრიაშვილი, მზია შათირიშვილი** და **მთვარისა ვარდიაშვილი;** ქალბატონი ნანას ხელმძღვანელობითა და სააგენტოს დახმარებით სამზარეულოც განახლდა. ახალი ელექტროლუმელი შეიძინეს, რომელზეც თავისუფლად თავსდება 4 ქვაბი. აღსაზრდელების ჯანმრთელობისა და ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზრუნავს ჯანმრთ. და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **დოდო მიმინოშვილი**.

ბაგა-ბაღის მოვლა-პატრონობასა და სისუფთავეზე ზრუნავს ტექნიკური პერსონალი: **თამარ ყოჩიშვილი, ია ჩიკვაიძე, ნელი გივიაშვილი, სოფიკო ხეცურიანი, ზემფირა ახლოური, გურამ ჭყოიძე, გურამ პეტრიაშვილი, დავით ბერიკაშვილი, გიორგი ღაღანიძე.**

**ნანა არჩვაძე:** „სააგენტოს ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცა ბიუჯეტის უკეთ განკარგვისა, 3-5%-ის გამოყენება შეგვიძლია სამეურნეო საქმიანობისთვის. პერიოდულად, რაც უფრო გვჭირდება იმას ვყიდულობთ. სააგენტოს ახალი მოთხოვნაა ზოგადად ავეჯისა და ინვენტარის განახლება. ჩვენთან ეტაპობრივად ხდებოდა ავეჯის შეცვლაც, რის შესაძლებლობასაც ბაღის ბიუჯეტიც იძლევა.

ახალი სასწავლო წლისთვის ბევრი რამ გაკეთდა. სააგენტოს მიერ ეზოს კეთილმოწყობის ძირითადი სამუშაოები უკვე შესრულებულია, გაკეთდა პანდუსი დაიგო ბეტონის საფარი, რომელიც კაუჩუკის რბილი საფარით დაიფარება და დაიდგმება საბავშვო ატრაქციონები; საკუთარი სახსრებით, ივლის-აგვისტოს ბიუჯეტით, მოიხატა შენობაში შესასვლელი დერეფნის კედლები, სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ჯგუფებში, დერეფნებში, შეიცვალა საკანალიზაციო სისტემა. სამომავლოდ, ფასადისთვის თანამედროვე იერ-სახის მიცემა და გარემონტება იგეგმება“.

ბავშვებამდე სწორად მიტანილი აღზრდის მეთოდებისა და ქალბატონ **ნანა არჩვაძის** შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით, აქ ბევრი საინტერესო აქტივობა იგეგმება. ბაგა-ბაღის უკანა ეზოში, ადრეული ასაკიდანვე მიჩვევის მიზნით, საგზაო ნიშნებისა და გადასასვლელების მოწყობა გადაწყდა. ეზოს აქტივობების მრავალფეროვნებისა და შრომისმოყვარეობის გამომუშავებისათვის კი ქალბატონმა ნანამ პატარებისთვის შეიძინა განსაკუთრებული ინვენტარი – ეზოს პატარა ფოცხები, ნიჩბები, ურიკები და დასუფთავების ძალიან სახალისო აქტივობაც დაინერგა. თვის ბოლოსთვის დაგეგმილ შემოდგომის ზეიმზე კი პატარებსა და მოწვეულ სტუმრებს სიურპრიზი ელოდებათ.

**ნათია გურგენიძე**











ზიგფრიდ ხუხუა – 80

# პედაგოგიური დინასტიის ლიდერი



**ამ დღეში** 80 წლისა გახდება აფხაზეთიდან დევნილი ღვაწლმოსილი პედაგოგი **ზიგფრიდ ალექსანდრეს ძე ხუხუა.** იგი ოჩამჩირის რაიონის **ახალი კინდღის** საშუალო სკოლისა და **სოხუმის პედინსტიტუტის** აღზრდილია. დაამთავრა **ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.** მუშაობა დაიწყო მშობლიურ სკოლაში და თავი გამოიჩინა, როგორც ჩინებულმა მასწავლებელმა, წარმატებით ასწავლიდა ამ რთულ და მეტად საინტერესო საგანს. მალე დააწინაურეს დირექტორის მოადგილედ, შემდეგ – **სკოლის დირექტორად.** უფრო ნაყოფიერი გახდა მისი მოღვაწეობა სკოლის ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში. როცა ქართულ სკოლებს ავიწროებდნენ, დიდი ალღო გამოიჩინა, საქართველოს განათლების სამინისტროსთან საქმიანი ურთიერთობა დაამყარა. მოახერხა სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის მკვეთრად განმტკიცება. იგი საჭირო ინვენტარით, თვალსაჩინოებით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, სასწავლო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა. სკოლას შემატა რამდენიმე სასწავლო დანიშნულების შენობა თუ ფლიგელი. კიდევ უფრო მეტს აპირებდა, აფხაზეთის ტრაგედიამ ფრთები შეუკვეცა მისი და მისი კოლეგების ყველა ოცნებას.

დევნილობაშიც აგრძელებდა აქტიურ მოღვაწეობას, ასწავლიდა მათემატიკას **თბილისის 167-ე საჯარო სკოლასთან არსებულ ლტოლვილთა სკოლაში,** რომლის დირექტორი იყო მისი ყოფილი მოადგილე **ვალტერ სიჭინავა**. აქაც ბედმა უმტყუნა, მალე ეს სკოლაც დახურეს.

მთავარი მაინც ის არის, რომ **ზიგფრიდ ხუხუა** პედაგოგიური ოჯახის გამორჩეული წევრია.

მამა – **ალექსანდრე ხუხუა**, კიწიის საშუალო სკოლის ქართულის ბრწყინვალე მასწავლებელი მოხალისედ წავიდა დიდ სამამულო ომში და დაიღუპა.

დედა – **ლიდა ხოფერია** ნახევარი საუკუნე მუშაობდა დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

ძმამ – **ტიტე ხუხუამ** გარკვეული დრო უძღვნა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მეუღლე – **ნანული შონია** საკმაოდ დიდხანს ასწავლიდა მათემატიკას ახალი კინდღისა და თბილისის სკოლებში. მშობელთა პედაგოგიური ესტაფეტა ღირსეულად აიტაცა შვილმა **ნატო ხუხუამ**.

ასეთია ღირსეულად განვლილი პედაგოგიური გზა დამსახურებული პედაგოგისა.

ვულოცავთ **ზიგფრიდ ხუხუას** სახელოვან იუბილეს და ჯანმრთელობას, მხნეობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ.

კოლეგებისა და მეგობრების სახელით:

**ბორის მიშველაძე, ვალტერ სიჭინავა, ნინა ლეთოდიანი, გიზო გეგეჭკორი, ხიმურ რუხაია, ინვერ მესხია... გაზეთ „სახალხო განათლება +“–ის რედაქცია**

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 599 944 592;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N12 (4587)
16 ოქტომბერი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113
9 771987 911009